ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 20

ქალაქი ბათუმი

06 დეკემბერი, 2019 წელი (16 : 00 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებ-ში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
2. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი;
3. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებები-სათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
4. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოცი-აციის თავმჯდომარე;
5. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
6. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება ,,ბათომის'' დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმღვა-ნელი.
7. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
8. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის ,,მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის'' ხელმძღვანელი;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 8, არ ესწრებოდა 3 (საბჭოს 3 წევრმა წინასწარ შეატყობინა საბჭოს თავმჯდომარეს სხდომაზე ვერდასწრების თაობაზე - კერძოთ, თ.თურმანიძე და ნ.აფხაზავა სამსახურებრივი მივლინების ხოლო თ.ხუხუნაიშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

ედნარ ნატარიძე - ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, შოთა გუჯაბიძე - ,,ბათომი'', მაია ქათამაძე - ბათუმის განათლების

განვითარების და დასაქმების ცენტრი, მარკელა ჩხაიძე - ,,მეჯლისი'', მანანა ტაკიძე - გაზეთი ,,აჭარა'', გულიკო კალანდაძე - ტვ 12.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 20 (06 დეკემბერი - 2019 წ / 16 : 00 სთ)

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

საკითხი 2. ქ. ბათუმის მერის ახალგაზრდული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბების თაობაზე წინადადებების განხილვა და მერისთვის წარდგენა.

საკითხი 3. ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, ექიმ პლატონ გიგინეიშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისი სახელობის ძეგლის განთავსების თაობაზე საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრეთ, რომ ქ.ბათუმის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის ელ.ვერსია თითქმის 2 კვირის უკან გადაეგზავნა საბჭოს წევრებს, ასევე არაერთხელ მიმართა მათ, რათა თავიანთი მოსაზრებები მოეწოდებინათ ელ.ფოსტაზე ან სხდომაზე წარმოედგინათ წერილობით.

საბჭოს დამსწრე წევრებს სხდომაზე წერილობით არ წარმოუდგენიათ ქ.ბათუმის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები.

კახაბერ გუჩმანიძემ განაცხადა, რომ მას მხოლოდ საბჭოს წევრმა ნათია აფხაზავამ მიაწოდა ქ.ბათუმის 2020 წ. ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წერილობით თავისი შენიშვნები და მოსაზრებები, რის თაობაზეც ინფორმაცია მიეწოდათ საბჭოს წევრებს ელ.ფოსტაზე, ასევე საბჭოს გასაცნობათ თავისი მოსაზრებები ელ.ფოსტაებზე მიაწოდა თავმჯდომარემ (კახაბერ გუჩმანიძე).

კახაბერ გუჩმანიძე : ,,კოლეგებო ვისარგებლებ შემთხვევით და განმეორებით გაგაცნობთ ჩემს და ნ.აფხაზავას მიერ ქ.ბათუმის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებსა და მოსაზრებებს, გთხოვთ გულდასმით მოისმინოთ'' :

მოსაზრებები ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტზე :

ნათია აფხაზავა :

პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება . პროგრამის კოდი: 0302

2020 წლისთვის დაგეგმილი მხოლოდ არსებული რეკრეაციული სივრცეების თუ პარკების მოვლა პატრონობა. სამწუხაროდ არ არის ახალი მწვანე სივრცეების გამოვლენა და განაშენიანება, მაშინ როცა ქალაქში ძალიან რთული მდგომარეობა აღნიშნული კუთხით. არსებობს უბნები სადაც არ არის დასასვენებელი მწვანე სივრცეები, ამასთან ქალაქმა შეიმუშავა მწვანე პოლიტიკის სამოქმედო გეგმა რის ინტეგრირებასაც აღნიშნულ დოკუმენტში ვერ ვხედავ;

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი. პროგრამის კოდი: 0505 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

პოზიტიურია, რომ ქალაქი უკვე მეორე წელია ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, თუმცა 2020 წლისთვის გათავლსიიწნებულია მხოლოდ 2019 ში დაწყებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის დასრულება. მოგეხდენებათ რა მძიმე მდომარეობა კულუტურლი მემკვიდრეობის ძეგლებში, ასევე თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაც ვიცით, რომ ადგილობრივ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობა მათი პრეროგატივაა. რეკომენდირებულია შემუშავდეს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობის და რეაბილიტაციის ინტეგრირებული მმართვის სისტემა და დაწყოს მათი რეაბილიტაციის პროგრამები. გვესმის აღნიშნული პროცესისი მაღალბიუჯეტიანობის საკითხი თუმცა შესაძლებელია საერთაშორის ორგანიზაციების, დონორების თუ საერთაშორისო ბანკების ჩართვა. და თანადაფინანსების თუ სხვა დაფინანსების მოდელების ამუშავება;

პრიორიტეტი: მუნიციპალური სერვისების განვითარება პროგრამის კოდი: 0802 მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა

მივესალმებით, რომ 2019 წელს ბათუმის მერიამ დაიწყო მონაწილეობითი ბიუჯეტის "შენი იდეა ბათუმის" დანერგვა. ვფიქრობ მნიშვნელოვანია გაიზარდოს აღნიშNული პროგრამის ბიუჯეტი და ასევე დაემატოს მისი ოპერირების თანხები. ამ ეტაპზე მმარტვის პროცესი იმართება სააგენტოს, მერიის და გარე ორგანზიაციის მიერ. აუცილებელია პროცეისი დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის მექანიმზები იყოს ინტეგრირებული და ასევე საკმაოდ დათვირთული საინფორმაციო კამპანიისთვის საჭიროა რესურსების გამოყოფა. ცალკე გამოვყოფდი საზოგადოებრივი საპირფარეშოების საკითხს, რომელსაც წლებია ვაყენებთ და ისევ ვერ დადგა პოლიტიკურ დღის წესრიგში.

კახაბერ გუჩმანიძე :

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები კოდი 03 02 03

1) რადგან მოცემულ ეტაპზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ვერ ხერხდება ქ.ბათუმის ლანდშაფტური დაგეგმარების კუთხით შესაბამისი გეგმის შემუშავება, ამიტომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია ქ.ბათუმში გამწვანებითი, ჰერძოთ - დარგვითი ღონისძიებების გატარებისას ყვავილების და მერქნული ასორტიმენტის შერჩევა განხორციელდეს დამოუკიდებელი ექსპერტების აქტიური ჩართულობით რისი თანხებიც სასურველია

დამატებით იქნეს ბიუჯეტში გათვალისწინებული, საბჭო გამოთქვამს მზადყოფნას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოიწვიოს ქვეყნის და რეგიონის გამოცდილი ექსპერტები და მათი უშუალო ჩართულობით საკუთარი პასუხისმგებლობით უზრუნველყოს შესაბამისი ლანდშაფტური დაგეგმარების მოკლევადიანი (დროებითი) დოკუმენტის შემუშავება და დასარგავი ასორტიმენტის, დიზაინის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაძლევთ რეკომენდაციას :

დამატებით გამოეყოს საბიუჯეტო ასიგნებები გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურს ზემოაღნიშნული ღონისძიების განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით.

2) ბიუჯეტში დამეტებით გასათვალისწინებელია წინა 2018 წელს საბჭოს მიერ სამსახურზე მიცემული რეკომენდაცია რაც ბათუმი-ახალციხის მონაკვეთზე ხელვაჩაურის სამრეწველო ზონის, მერიის, ურბანული დასახლების გასწვრივ არსებულ ცენტრალურ გზაზე განთავსებული ევკალიპტის მრავალწლოვანი ნარგავების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლას გულისხმობს, უამინდობის შემთხვევაში მათი წაქცევის თავიდან აცილების მიზნით, რაც შესაძლოა ლეთალობის გამომწვევი მიზეზი გახდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაძლევთ რეკომენდაციას :

დამატებით გამოეყოს საბიუჯეტო ასიგნებები (ანდა სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნეს) გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურს ზემოაღნიშნული ფაქტორის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, რაც შეასაბამისი კომისიის ჩამოყალიბებასა და მასში რეგიონის სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ჩართულობას გულისხმობს.

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება : კოდი 03 01

1) 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (კოდი 03 01 01) მიმდინარე წელთან შედარებით უმნიშვნელოდ მომატებულია რაც იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქს დასუფთავების მომსახურების კუთხით შეემატა რეაბილიტირებული ქუჩები (დაგვა-დასუფთავების კუთხითაც) შედარებით უნდა გაზრდილიყო, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ნარჩენების დებეტი ყოველწლიურად საგრძნობლად მატულობს რაც ასევე არ არის გათვალისწინებული საბიუჯეტო ზრდის კუთხით.

2) ბიუჯეტში წინა წლებიდან განსხვავებით 2020 წელს არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარჯები, მაშინ როცა მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გატარდეს მოსაკრებლის ერთიან საბილინგო სისტემაში ინტეგრირების მიზნით, გაძლიერდეს ცნობისრების ამაღლების ღონისძიებები რაზედაც ასევე 2018 წელს საბჭომ გასცა რეკომენდაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაძლევთ რეკომენდაციას :

გათვალისწინებული იქნეს დამატებითი საბიუჯეტო ასიგნებები შემოერთებული ტერიტორიების შესაბამის დონეზე დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების გატანისა და ნაგავშემკრები კონტეინერების განთავსების მიზნით, ასევე სფეროში ჩართული კოლექტივის გარემოსდაცვითი ცნობიერების გაღრმავებისა და ნარჩენების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით განხორციელდეს სატრენინგო-სასემინარო სწავლებები, ასევე გატარდეს ღონისძიებები სატარიფო პოლიტიკის სისტემატიზაციის კუთხით და თანამედროვე მიდგომებით განხორციელდეს მოსაკრებლის ადმინისტრირება.

3) ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემის გაფართოებისთვის საჭირო ასიგნებები რაც კოდექსით გათვალისწინებული აუცილებელი პირობაა, ასევე ასოცირების ხელშეკრულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაძლევთ რეკომენდაციას :

ქ.ბათუმში არსებული სეპარაციის სისტემის ეატაპობრივი განვითარების მიზნით ბიუჯეტში მოხდეს დამატებითი ასიგნებების გათვალისწინება.

კახაბერ გუჩმანიძემ სხდომას ასევე გააცნო ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერზე ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით შემუშავებული წერილის პროექტი

,, ბატონო ლაშა,

მიმდინარე წლის 06 დეკემბრის მე - 20 სხდომაზე ქ.ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ განიხილა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადმოგაზვნილი 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, რასთან დაკავშირებითაც უფლებამოსილების ფარგლებში წარმოგიდგენთ საბჭოს რიგი წევრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, წინადადებებსა და შენიშვნებს (თან ერთვის).

იმედს ვიტოვებთ ქ.ბათუმის მერია და შესაბამისი სამსახურები გულდასმით გაეცნობიან საბჭოს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს რაც შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება შემდგომ საქმიანობაში.“

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე, დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა მერისთვის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული მოსაზრებების წარდგენას.

საკითხი 2. ქ. ბათუმის მერის ახალგაზრდული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბების თაობაზე წინადადებების განხილვა და მერისთვის წარდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრეთ შეახსენა, რომ აღნიშნული საკითხის თაობაზე წინა სხდომაზეც აქტიურად იმსჯელეს და გამოხატეს მხარდაჭერა წარმოდგენილ ინიციატივასთან დაკავშირებით.

კახაბერ გუჩმანიძე : კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ,,ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი''-ს ხელმძღვანელს ქ-ნ მაი ქათამაძეს საზოგადოებრივი აქტიურობისთვის და ახალგაზრდების მხარდაჭერისთვის. კოლეგებო ქ.ბათუმის მერმა მომართა საბჭოს რათა ინიცირებულ საკითხთან ქ.ბათუმის მერის ახალგაზრდულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების, ფუნქციებისა და მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებით წარმოედგინა წინადადებები.

კახაბერ გუჩმანიძე : გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები და წინადადებები.

სხდომაზე გაიმართა მსჯელობა, საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების, ფუნქციებისა და მუშაობის პრინციპი უნდა გაიწეროს დებულებით რომელიც ჩვენი საბჭოს დებულების გარკვეული ანალოგი იქნება, რაზედაც საბჭოს წევრებმა განაცხადეს დასტური, ასევე აღინიშნა, რომ ახალგაზრდული საბჭოს დებულება და ფუნქციები ძირითადად ქ.ბათუმის ახალგაზრდულ პოლიტიკას უნდა ეხებოდეს.

მსჯელობის დასასრულს კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წარუდგინა ქ.ბათუმის მერზე გასაგზავნი წერილის პროექტი :

,, ბატონო ლაშა,

თქვენი მიმდინარე წლის (N 25/27814 21/11/2019) წერილის პასუხად სადაც საბჭოს თხოვდით - ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული სამოქალაქო მრჩევლთა საბჭოს დაკომპლექტების, ფუნქციებისა და მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებით წარმოედგინა წინადადებები გაცნობებთ, რომ 06 დეკემბრის მე - 20 სხდომაზე განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული საკითხი რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს :

,, ქ. ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო ახალგაზრდული სამოქალაქო მრჩევლთა საბჭო უნდა დაკომპლექტდეს - ქ. ბათუმში არსებული - არასამთავრობო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობების, სპორტული ფედერაციების, შემოქმედებითი კავშირების, სამეცნიერო წრეების, მეწარმე იურიდიული პირების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების - ახალგაზრდა, განსაზღვრული ასაკის მქონე წარმომადგენლების მიერ.

საბჭოს ძირითადი ფუნქციებად უნდა განისაზღვროს - მოამზადოს, განიხილოს და მერს წარუდგინოს წინადადებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები, ასევე მოაწყოს დისკუსიები კონკრეტულად ახალგაზრდულ პოლიტიკასა და სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე, განიხილოს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და სხვ.

საბჭოს მუშაობის ძიღითადი პრინციპები უნდა განისაზღვროს ამჟამინდელი ქ. ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრული პრინციპების ანალოგიურად.'' მადლობას გიხდით გამოჩენილი დაინტერესებისა და თანამშრომლობისთვის.''

საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე, საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წერილის პროექტს და მასში აღნიშნული წინადადებების მერისთვის წარდგენას.

საკითხი 3. ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, ექიმ პლატონ გიგინეიშვილის 150 წლის იუბი - ლესთან დაკავშირებით, მისი სახელობის ძეგლის განთავსების თაობაზე საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

კახაბერ გუჩმანიძე : მინდა გაგიზიაროთ ჩემი პირადი მოსაზრება - უდაოდ დიდია ექიმ პლატონ გიგინეიშვილის ღვაწლი ჩვენი ქალაქის წინაშე და მისი ხსოვნისადმი პატივისმიგებას მივესალმები, თუმცა აქვე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ერთ ჩემთვის მიუღებელ გარემოებაზე, კერძოთ - მერიის მიერ განსახილველად და წინადადების წარმოსადგენად გადმოგზავნილი წერილი შედგენილია უცხო (რუსულ) ენაზე, თანაც რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი საქვეუწყებო დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე, მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს მაქვს ამ კუთხით სხვა მოსაზრებებიც მაგრამ ამჯერად თავს შევიკავებ მწვავე განცხადებებისგან და არ მოვყვები რუსეთის პოლიტიკისადმი ჩემ უარყოფით დამოკიდებულებაზე საუბარს, მხოლოდ ერთ ავღნიშნავ - საქართველოში საქმისწარმოების ენად მიღებულია ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ვფიქრობ ეს საკმარისი მიზეზია იმისთვის რომ გადმოგზავნილი კორესპონდენცია არ განიხილოს საბჭომ. საბჭოს თავმჯდომარის კახაბერ გუჩმანიძის

მოსაზრებას და წინადადებას მხარი დაუჭირა საბჭომ, რის შემდგომაც შემუშავდა ქ.ბათუმის მერზე საპასუხოდ მისაწერი წერილის პროექტი:

,, ბატონო ლაშა,

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს თქვენ მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით გადმოგვეგზავნა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წ. 25 ოქტომბერს (N 27355/25) შესული პროფესორ გიორგი გიგინეიშვილის წერილი - ქ.ბათუმის საპატიო მოქალაქის, ექიმის პლატონ გიორგის ძე გიგინეიშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისი სახელობის ძეგლის განთავსების თაობაზე, რასთან დაკავშირებით საბჭომ იმსჯელა მიმდინარე წლის 06 დეკემბრის მე - 20 სხდომაზე და გადაწყვიტა შემდეგი :

იქედან გამომდინარე, რომ განსახილველად წარმოდგენილი წერილი შედგენილი იყო უცხო ენაზე ხოლო საქართველოში - სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენად მიჩნეულია ქართული - როგორც სახელმწიფო ენა (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, თავი III) საბჭო უარს აცხადებს გადმოგზავნილი წერილის (ინიციატივა) განხილვასა და მოსაზრებების წარმოდგენაზე ".

საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე, საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წერილის პროექტს და მასში აღნიშნულ გადაწყვეტილებას წარმოდგენილი საკითხის არგანხილვის თაობაზე.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ქ. ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

06 დეკემბერი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	სახელი, გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	მ. ბურკენაძე
4.	მაყვალა კვირიკაძე	წევრი	
5.	ნინო ინაიშვილი	წევრი	ნ. ინაიშ
6.	თამარ ხუხუნაიშვილი	წევრი	
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტკარაძე	წევრი	
10.	ლაშა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	თ. კაკაბაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

06 დეკემბერი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	[illegible]	„ბათუმი"	shotagujabitze@gmail.com	
2.	მაია ქათამაძე	ბათუმის კულტურის, ტურიზმის, სპორტის და ლოგისტიკის სამმართველო	maya.katamadze@gmail.com	
3.	ჩხაიძე მრავალი	პუბლიცისტი	chchaidze@gmail.com	
4.	[illegible]	[illegible] „[illegible]"	mancho333@mail.ru	
5.	გულიკო ყალანდაძე	TV 12	gulokalandadze1234@gmail.com	

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
6.	ეროვნ ნაფხარიძე	ქ. ბათუმის შოთა სულთანის-სახელმწიფო სუნივ.	e.hatanidze@gmail.com 577 24 27 30	
7.				
8.				
9.				
10.				
11.				
12.				
13.				
14.				